სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/140

ქ. თბილისი 16 10 2020 წ.

პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ

,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N121/ნ ბრძანებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა დაიწყოს 2020 წლის 19 ოქტომბრიდან.
2. სწავლება და შეფასება განხორციელდეს სასწავლო გეგმისა და მოდულების მიხედვით.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელი).
4. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.#64).

რექტორი

დავით გურგენიძე